



ვებ გვერდი

07/04/2015

სარეგისტრაციო კოდი

210020020.35.152.016216

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N9

2015 წლის 3 აპრილი

ქალაქი დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4-ე, მე-6-ე და მე-7-ე პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

1. „დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის N6 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 18/02/2015, 210020020.35.152.016213) შეტანილი იქნეს ცვლილება. კერძოდ, დადგენილების N2 დანართის სახით დამტკიცებული „დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი იურიდიული პირებისათვის“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული რედაქციით;

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.